დამტკიცებულია კანცლერის 2018 წლის
27 ივლისის #01-82 ბრძანებით

საათობრივი დატვირთვის, ნაშრომების ხელმძღვანელობისა და კომისიური განხილვის ფარგლებში ანაზღაურების წესი

მუხლი 1. ნორმის მიზანი

1. საათობრივი დატვირთვის, ნაშრომების ხელმძღვანელობისა და კომისიური განხილვის ფარგლებში ანაზღაურების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“)
   ა) აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული საათების ანაზღაურების წესს;
   ბ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის რაოდენობას, ხელმძღვანელის ფუნქციებს, ხელმძღვანელობისათვის მისაღები ანაზღაურების რაოდენობას;
   გ) რეცენზენტის დანიშვნისა და მათი შრომის ანაზღაურების პირობებს;
   დ) სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზის ანაზღაურების პირობებს;
   ე) პრაქტიკის ხელმძღვანელობასა და ანაზღაურების პირობებს;
   ვ) სადისერტაციო კოლეგიის გარე წევრის ანაზღაურების პირობებს;
   ზ) კომისიური წესით განსახილველი საკითხების ფარგლებში კომისიის წევრების ანაზღაურების პირობებს.

მუხლი 2. საათობრივი ანაზღაურება

1. ლექტორი ვალდებულია შეასრულოს სილაბუსით გაწერილი სასწავლო პროგრამა. მონიტორინგის სამსახური და ფაკულტეტის დეკანატი ამოწმებს ლექტორმა შეასრულა თუ არა სასწავლო და საგამოცდო კვირების დატვირთვა და აღადგინა თუ არა გაცდენილი საათები.
2. ანაზღაურების რეგულაციის მიზნებისათვის, ერთ ჯგუფზე შუალედური და დასკვნითი გამოცდა განისაზღვრება საგანზე რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად შემდეგი სახით:
   ა) 10 სტუდენტამდე - 1 საათი;
   ბ) 11 სტუდენტიდან 20 სტუდენტის ჩათვლით - 2 საათი;
   გ) 21 სტუდენტზე მეტი - 3 საათი;

   სტუდენტთა რაოდენობის შემოწმება ხდება მონიტორინგის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში აკადემიური რეგისტრაციის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

2[1]. დასკვნით გამოცდაზე დაშვებული (ბარიერგადალახული) სტუდენტების რაოდენობის შემოწმება ხდება მონიტორინგის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე 2 დღით ადრე. **(01-77, 07.06.2021)**

3. იმ შემთხვევაში, თუ ლექციასა და სემინარს უძღვება სხვადასხვა პირი, შუალედური გამოცდის მასალის მომზადება/შეფასება ევალება სემინარის ხელმძღვანელს, ხოლო დასკვნითი და დამატებითი გამოცდის მასალის მომზადება/შეფასება - ლექტორს. დასკვნითი გამოცდის საათები ითვლება ჯგუფების რაოდენობის შესაბამისად.
4. ყოველთვიური ანაზღაურების მქონე ლექტორების სავალდებულო უფასო დატვირთვა შეადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვირის მინიმალური დატვირთვის ნამრავლი ოთხზე. ზედმეტად ჩატარებული საათების ანაზღაურება მოხდება პრინციპით, - თვის განმავლობაში ჩატარებული საათების ჯამს გამოკლებული ყოველთვიური სავალდებულო საათობრივი დატვირთვა (შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდი ითვლება ერთ კვირად).

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის ანაზღაურების სისტემა

1. ლექტორის ანაზღაურება (პროფესორი, მოწვეული ლექტორი) დატვირთვის მიხედვით, სემესტრის დასაწყისში, ჯამდება პრინციპით: სილაბუსის მიხედვით სალექციო კვირების რაოდენობა გამრავლებული კვირის დატვირთვაზე, დამატებული შუალედური გამოცდ(ებ)ის ანაზღაურება და დასკვნითი გამოცდის ანაზღაურება მე-2 მუხლის შესაბამისად. **(01-77, 07.06.2021)**
2. სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი საათების რაოდენობა მრავლდება ლექტორის საათობრივ ანაზღაურებაზე, რაც შეადგენს მთელი სემესტრის განმავლობაში მისაღებ თანხას.
3. სემესტრის განმავლობაში მისაღები საერთო თანხის საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს საერთო სემესტრული მისაღები თანხის მეხუთედ ნაწილს.
4. სემესტრის განმავლობაში (5 თვე) ყოველთვიურად გაიცემა ერთი და იგივე ხელფასი დადგენილი საშუალო თვიური ანაზღაურებით.
5. სემესტრების მიხედვით ანაზღაურება ხდება შემდეგ თვეებში:
   შემოდგომის სემესტრი: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი.
   გაზაფხულის სემესტრი: მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი.
6. ლექტორი ვალდებულია შეასრულოს სილაბუსით გაწერილი სასწავლო პროგრამა. ჩაუტარებელი ლექციების ანაზღაურება მოაკლდება მე-5 თვის ხელფასს.
7. ლექტორი, რომელსაც ხელშეკრულებით დადგენილი აქვს 12 თვიანი ანაზღაურება და ევალება ყოველკვირეულად გარკვეული რაოდენობის საათების ჩატარება, მათი ანაზღაურების დათვლა ხდება შემდეგი წესით:
   ა) გადაანგარიშდება 5 თვეზე ჩასატარებელი სავალდებულო არაანაზღაურებადი ლექციები;
   ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გამოითვლება სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი საათების რაოდენობის ჯამი;
   გ) სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელ საათებსა და სავალდებულოდ ჩასატარებელ არაანაზღაურებად საათებს შორის სხვაობა ანაზღაურდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საათობრივი ანაზღაურების გათვალისწინებით 5 თვეზე გადანაწილების პრინციპით.
8. იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის განმავლობაში პროგრამის/სწავლების საფეხურის/სწავლების ენის მიხედვით გაწერილია სწავლის დაწყების რამდენიმე სხვადასხვა დრო, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით ანაზღაურების გაცემა შესაძლებელია მოხდეს ყოველთვიურად ჩატარებული საათების მიხედვით. ანაზღაურების ამ წესის გამოყენების შემთხვევაში, სემესტრის დაწყებისას ეცნობება დასაქმებულს.

მუხლი 3[1]. საათობრივი ანაზღაურების ტარიფები (01-120, 02.10.2023)

1. საათობრივი ანაზღაურება ხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისად აფილირებული და არააფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.
2. აფილირებული პერსონალის ანაზღაურება ხდება შემდეგი ტარიფებით:
   ა) პროფესორი - 1 აკადემიური საათი - 37,5 ლარი;
   ბ) ასოცირებული პროფესორი - 1 აკადემიური საათი - 31.5 ლარი;
   გ) ასისტენტ-პროფესორი - 1 აკადემიური საათი 25 ლარი.
   დ) ასისტენტი - 1 აკადემიური საათი 20 ლარი.
   ე) უცხოენოვან პროგრამაზე - შესაბამის რანგის ხელფასს დამატებული 6,25 ლარი.
3. არააფილირებული ან მოწვეული პერსონალის ანაზღაურება განსაზღვრა ხდება სამეცნიერო ხარისხის, სწავლების ენისა და განსაკუთრებული პრაქტიკული ნიშნის მიხედვით და ითვალისწინებს შემდეგ სახელფასო ანაზღაურებას:
   ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 20-დან 37,5 ლარამდე;
   ბ) უცხოენოვან პროგრამაზე - 31,5-დან 50 ლარამდე;
4. უცხოელი პროფესორის ან განსაკუთრებული პრაქტიკული ან/და სამეცნიერო მიღწევების მქონე პერსონალის ხელშეკრულების პირობების შეთანხმება შესაძლებელია ინდივიდუალურად.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა

1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.
2. ამოღებულია **(01-35, 02.04.2020)**
3. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესორი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უხელმძღვანელოს მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 8 სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს.
4. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება ნაშრომების რაოდენობის მიხედვით, რაც ერთ სტუდენტზე შეადგენს 150 ლარს. **(01-35, 02.04.2020) (01-15, 24.02.2022)**
5. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურება ეძლევა 12 თვის განმავლობაში, ვალდებულია ანაზღაურების გარეშე უხელმძღვანელოს 3 სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს. 3-ზე მეტი სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება დამოუკიდებლად ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.
6. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ერთ სტუდენტზე მოიცავს კვირაში 1/3 საათის დატვირთვას, რაც სემესტრის განმავლობაში შეადგენს საშუალოდ 5 საათს. **(01-15, 24.02.2022)**

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.
2. ამოღებულია **(01-35, 02.04.2020)**
3. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესორი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უხელმძღვანელოს მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 5 მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება ნაშრომების რაოდენობის მიხედვით, რაც ერთ სტუდენტზე შეადგენს 250 ლარს. **(01-15, 24.02.2022)**
5. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურება ეძლევა 12 თვის განმავლობაში, ვალდებულია ანაზღაურების გარეშე უხელმძღვანელოს 2 მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს. 2-ზე მეტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება დამოუკიდებლად ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.
6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ერთ სტუდენტზე მოიცავს კვირაში 1/2 საათის დატვირთვას, რაც სემესტრის განმავლობაში შეადგენს საშუალოდ 8 საათს. **(01-15, 24.02.2022)**

მუხლი 6. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა

1. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.
2. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესორი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, უხელმძღვანელოს სადოქტორო თემებს, მაგრამ არაუმეტეს ერთი მიღების ფარგლებში 3 დოქტორანტისა.
3. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობის მიხედვით, რაც ერთ დოქტორანტზე შეადგენს სემესტრში 800 ლარს. **(01-05, 12.01.2024)**
4. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურება ეძლევა 12 თვის განმავლობაში, ვალდებულია ანაზღაურების გარეშე

უხელმძღვანელოს 1 დოქტორანტს. 1-ზე მეტი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება დამოუკიდებლად ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

5. სადისერტაციო ნაშრომში მომიჯნავე დარგების გადაკვეთის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო გასცემს ნებართვას თანახელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. თანახელმძღვანელის ანაზღაურება ერთ დოქტორანტზე შეადგენს სემესტრში 400 ლარს. **(01-05, 12.01.2024)**
6. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ერთ სტუდენტზე მოიცავს კვირაში 1 საათის დატვირთვას, რაც სემესტრის განმავლობაში შეადგენს საშუალოდ 16 საათს. **(01-15, 24.02.2022)**

მუხლი 7. ნაშრომის რეცენზირება

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად სავალდებულო რეცენზირებას ახდენს შესაბამისი კომპეტენციის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელიც ირიცხება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში.
2. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად სავალდებულო რეცენზირებას ახდენს შესაბამისი კომპეტენციის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ ირიცხება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში.
3. რეცენზენტის ანაზღაურება შეადგენს საბაკალავრო ნაშრომზე 62,5 ლარს, სამაგისტრო ნაშრომზე - 125 ლარს, ხოლო სადოქტორო ნაშრომზე - 250 ლარს. **(01-15, 24.02.2022)**
4. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება მოიცავს 2 საათს, სამაგისტრო - 5 საათს, სადოქტორო - 10 საათს. კვირეული დატვირთვა საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირებაზე მოიცავს 2 სტუდნეტზე ¼ საათს, სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება 1 სტუდენტზე კვირაში 1/3 საათს, სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება 1 სტუდენტზე კვირაში 2/3 საათს. **(01-15, 24.02.2022)**

მუხლი 8. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზა

1. სადოქტორო ნაშრომის წინასწარ განხილვას (ექსპერტიზას) ახდენს შესაბამისი კომპეტენციის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ექსპერტები. ექსპერტი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში ან იყოს გარე პირი.
2. ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 250 ლარს.

მუხლი 9. პრაქტიკის ხელმძღვანელობა

1. პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.
2. პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, რაც ერთ სტუდენტზე შეადგენს 1,5 აკადემიურ საათს სემესტრში. ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულებით არსებული საათობრივი ანაზღაურების შესაბამისად.

მუხლი 10. სადისერტაციო კოლეგიის წევრობა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის შექმნილი სადისერტაციო კოლეგიაში, დებულების შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად ინიშნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გარედან მოწვეული წევრი.
2. სადისერტაციო კოლეგიის გარედან მოწვეული წევრის ანაზღაურება შეადგენს 150 ლარს.

მუხლი 11. საბაკალავრო და სამაგისტრო თემის დაცვის კომისიის თავმჯდომარეობა

1. საბაკალავრო და სამაგისტრო თემის დაცვის კომისიას, დებულების შესაბამისად, ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის დოქტორის ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან.
2. დაცვის კომისიის თავმჯდომარეობა ანაზღაურდება შემდეგი პრინციპით:
   2.1. დაცვაზე გამოცხადდა 5 ან ნაკლები სტუდენტი - 100 ლარი;

2.2. დაცვაზე გამოცხადდა 5-დან 10 სტუდენტი - 150 ლარი;
2.3. დაცვაზე გამოცხადდა 10 სტუდენტზე მეტი - 200 ლარი

მუხლი 12. აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა

1. აკადემიურ თანამდებობათა დაკავებისათვის გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შემოსულ განცხადებებს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს დოქტორის ხარისხის მქონე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან.
2. აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის კომისიის თავმჯდომარის ანაზღაურება ხდება შემდეგი პრინციპით:
   2.1. კონკურსის ფარგლებში შემოსულია 10 და ნაკლები განცხადება - 125 ლარი;
   2.1. კონკურსის ფარგლებში შემოსულია 10-ზე მეტი განცხადება - 200 ლარი.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

1. ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ექსპერტი, პრაქტიკის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს სტუდენტის ოჯახის წევრი ან მასთან იმდენად დაკავშირებული პირი, რაც სტუდენტთა არათანაბარ პირობებში ჩაყენების საფუძვლიან ეჭვს შექმნის.
2. აღნიშნული წესი სავალდებულოა უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი ყველა პირისათვის.
3. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით.
4. აღნიშნული წესით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანცლერის 2016 წლის 20 სექტემბრის #01-102 ბრძანებით დამტკიცებული „ნაშრომების ხელმძღვანელობისა და კომისიური განხილვის ფარგლებში ანაზღაურების წესი“.